ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5192512

ნომერი: AR1789101

თარიღი : 19.11.2020

გაცემის თარიღი : 19.11.2020

გაცნობის თარიღი : 09.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი II , კორპუსი N21-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ცაავა პ/ნ 01024060610
- პეკინის ქუჩა 14ა ბინა 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 26 ოქტომბრის №5156835 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 19 ნოემბერს №AR1789101 განცხადებით მომართა თეიმურაზ ცაავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 26

ოქტომბრის №5156835 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის და ფუნქცია/დანიშნულების მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 26 ოქტომბრის №5156835 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მიკრო/რაიონი II, კორპუსი №21-ის მიმდებარედ არსებულ, №01.19.20.003.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მაღაზიის (ფუნქცია/დანიშნულება: კომერციული (სავაჭრო)) მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 26 ოქტომბრის №5156835 ბრძანებაში, საპროექტო ობიექტად "მაღაზიის" ნაცვლად დაფიქსირებულია „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტი", ხოლო, ფუნქცია/დანიშნულებად „კომერციული (სავაჭრო)"-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „ავტოსერვისი".
სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურს 2020 წლის 06 სექტემბერს №AR1772788 განცხადებით მომართა თეიმურაზ ცაავამ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მიკრო/რაიონი II, კორპუსი №21-ის მიმდებარედ არსებულ, №01.19.20.003.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მაღაზიის (ფუნქცია/დანიშნულება: კომერციული (სავაჭრო)) მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2020 წლის 26 ოქტომბრის №5156835 ბრძანებით. თუმცა, საპროექტო ობიექტი და ფუნქცია/დანიშნულება არასწორად იქნა მითითებული. ამასთან, აღნიშნულ განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა საინფორმაციო დაფა, სადაც ობიექტის ფუნქცია/დანიშნულებად მითითებულ იქნა კომერციული (სავაჭრო). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 ივლისის №ბ01.012019719 ბრძანებით კომერციული (სავაჭრო) ობიექტის განთავსებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 26 ოქტომბრის №5156835 ბრძანებაში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მაღაზია, ფუნქცია/დანიშნულება: კომერციული (სავაჭრო).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 26 ოქტომბრის №5156835 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 26 ოქტომბრის №5156835 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.